

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
გრანდი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისათვის

ქ. ზუგდიდი

## შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. ფულადი სახსრების ანგარიშგება
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

|                                                                                                                         | 2022      | 2021    |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|---------|
| ამონაგები                                                                                                               | 381224    | 405745  |
| შემოსავალი რეალიზაციიდან                                                                                                | 381224    | 405745  |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                                                                                   | 0         | 0       |
| საწყისი მარაგები                                                                                                        | 0         | 0       |
| მარაგების შესყიდვა                                                                                                      | 0         | 0       |
| გადამუშავების დანახარჯები                                                                                               | 0         | 0       |
| საბოლოო მარაგები                                                                                                        | 0         | 0       |
| საერთო მოგება                                                                                                           | 381224    | 405745  |
| სხვა შემოსავალი                                                                                                         | (2554)    | (6587)  |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                                                | 262077    | 120061  |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                                    | 99150     | 131368  |
| საპროცენტო შემოსავალი:                                                                                                  |           |         |
| საპროცენტო ხარჯი :                                                                                                      |           |         |
| იჯარის ხარჯი                                                                                                            |           |         |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                                                | 3 180403  | 149410  |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                                                  | 539076    | 394252  |
| საოპერაციო მოგება                                                                                                       | (-157852) | 11493   |
| მოგება/(ზარალი)                                                                                                         | (-157852) | (11493) |
| არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)                                                                                        | 229       | - 173   |
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)                                                               | 3340143   | 3328833 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა'<br>, კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') |           |         |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                          |           |         |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                                   | (-157623) | (11320) |
| საკუთარი კაპიტალის საანგარიშო პერიოდის ბოლოს                                                                            | 3182530   | 3340143 |

3. ზ. ზ. ზ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                                     | 31/12/2022წ | 31/12/2021წ | 31/12/2020 |
|-----------------------------------------------------|-------------|-------------|------------|
| აქტივები                                            | 105766      | 209431      | 69453      |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                         | 85682       | 187731      | 65265      |
| სავაჭრო მოთხოვნები                                  | 20084       | 21700       | 4188       |
| გადახდილი ავანსები                                  |             |             |            |
| მარაგები                                            | 0           | 0           | 0          |
| მზა პროდუქცია                                       |             |             |            |
| სხვა                                                |             |             |            |
| საინვესტიციო ქონება                                 |             |             |            |
| სხვა მიმდინარე აქტივები                             | 38861       | 8086        | 16414      |
| ბიოლოგიური აქტივები                                 |             |             |            |
| თვითღირებულების მოდელით                             |             |             |            |
| გადაფასების მოდელით                                 |             |             |            |
| გუდვილი                                             |             |             |            |
| სხვა არამატერიალური აქტივები                        | 2797        | 2797        | 2797       |
| ძირითადი საშუალებები                                | 3046768     | 3129818     | 3248168    |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                   |             |             |            |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში |             |             |            |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                          |             |             |            |
| სულ აქტივები                                        | 3194192     | 3350132     | 3336832    |
| ვალდებულებები                                       | 11662       | 9979        | 7999       |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება                        |             |             |            |
| სავაჭრო ვალდებულებები                               | 9822        | 8267        | 7999       |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები               |             |             |            |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                  |             |             |            |
| საგადასახადო ვალდებულებები                          | 1840        | 1712        |            |

გამოუმუშავებელი შემოსავალი

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო

ვალდებულებები

მიღებული გრანტები

სხვა ვალდებულებები

სულ ვალდებულებები

11662

9979

7999

საკუთარი კაპიტალი

3182530

3340153

3328833

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში  
'კაპიტალი', კოოპერატივის  
შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')

3587850

3587850

3587850

საემისიო შემოსავალი

გამოსყიდული საკუთარი აქციები

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი

-405320

-247697

-259017

გადაფასების რეზერვი

სხვა რეზერვები

სულ საკუთარი კაპიტალი

3182530

3340153

3328833

სულ საკუთარი კაპიტალი და  
ვალდებულებები

3194192

3350132

3336832

ვ. ჯიშკა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                                                                          | 2022წ   | 2021წ   |
|------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან                                                 |         |         |
| საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები                   | 418154  | 430838  |
| სხვა მიღებული ფულადი სახსრები                                                            |         |         |
| საქონლის და მომსახურების მიწოდებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები                         | -163849 | -142646 |
| დაქირავებულ პირთათვის გადახდილი ფულადი სახსრები                                          | -209057 | -95357  |
| გადახდილი გადასახადები                                                                   | -128425 | -55773  |
| გადახდილი სხვა ფულადი სახსრები                                                           | -1922   | -1546   |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან                                          | -85099  | 135516  |
| ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან                                               |         |         |
| ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები | -17179  | -13018  |
| ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები |         |         |
| საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები                         | -17179  | -13018  |
| ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან                                                  |         |         |
| პროცენტის სახით გადახდილი ფულადი სახსრები                                                |         |         |
| გადახდილი დივიდენდები                                                                    |         |         |
| უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი შემოსავლები და ზარალი                | 229     | -32     |
| საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები                            | 229     | -32     |
| ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტის ზრდა/შემცირება                                     | -102049 | 122466  |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი წლის დასაწყისისთვის                                  | 187731  | 65265   |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი წლის ბოლოსთვის                                       | 85682   | 187731  |



## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გრანდი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი რეგისტრირებულია საქართველოში. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქ. N35. საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სასტუმროს მოსახურება.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სადრიცხო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთეულამდე სიზუსტით.

### ამონაგების აღიარება

კომპანიის შემოსავლები ფორმირდება სასტუმრო მომსახურებით და საკუთარი უძრავი ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლებით.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება მარაგის გაუფასურება, რისთვისაც მარაგის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზა-

ციო ფასს. თუ მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

#### *სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

#### *სავაჭრო ვალდებულებები*

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

|    | დასახელება              | 2022 წელი | 2021წელი |
|----|-------------------------|-----------|----------|
| 1  | რეკლამის ხარჯები        | 4796      | 2761     |
| 2  | კომუნიკაციის ხარჯები    | 5231      | 7822     |
| 3  | კომუნალური ხარჯები      | 82623     | 69042    |
| 4  | სხვა საგადასახადო ხარჯი | 3688      | 1795     |
| 5  | საბანკო მომსახურება     | 1921      | 1424     |
| 6  | სოციალური დანარიცხები   | 756       | 951      |
| 7  | დასუფთავების ხარჯი      | 17053     | 14601    |
| 8  | ჰოსტინგის ხარჯი         | 48935     | 33148    |
| 9  | სამეურნეო ხარჯი         | 8135      | 6737     |
| 10 | საკანცელარიო ხარჯი      | 663       | 397      |
| 11 | სხვა ხარჯი              | 6602      | 10732    |
|    |                         |           |          |
|    |                         |           |          |
|    | ჯამი:                   | 180403    | 149410   |

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საწარმოს დაკავშირებული მხარე იურიდიული პირი არ გააჩნია.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის გასამრჯელო

საწარმოს დამფუძნებელ-დირექტორზე 2022 წელს დარიცხულია გასამრჯელო 128427 ლარი.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 16 სექტემბერს.